



# ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.  
*გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!  
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!  
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!*

ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

№№ 1-9 დავალებების პასუხები შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შემოხაზოთ და გადაიტანოთ პასუხების ფურცელში შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის გვერდით განთავსებულ უჯრედებში X ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება;

ამ დავალებათა პასუხების გადატანისას არ უნდა აგერიოთ დავალებების ნომრები. ნომრების არევის შემთხვევაში კომპიუტერი სწორი პასუხის ამოცნობას ვეღარ შეძლებს;

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ ის უჯრედი და იმავე ნომრის გასწვრივ მონიშნეთ სხვა (ეს ეხება მხოლოდ №№ 1-9 დავალებებს);

№№ 10-31 დავალებების პასუხები შესაბამისი ნომრების გასწვრივ უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში;

№ 31 დავალება სამი ნაწილისაგან შედგება: ა), ბ) და გ). პასუხების ფურცელშიც ამგვარადაა მითითებული;

სავალდებულოა, რომ № 31 დავალების ა), ბ) და გ) ნაწილები პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ ა), ბ) და გ) ნაწილებისათვის გამოყოფილ ადგილებში გადაიტანოთ;

№ 31 დავალების თითოეული ნაწილი (ა, ბ, გ) ცალ-ცალკე სწორდება შეფასების სხვადასხვა სქემის მეშვეობით და, ამდენად, ამ დავალების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში არევა დაუშვებელია;

№ 31 დავალება, რომლის შემადგენელი ნაწილები პასუხების ფურცელში ერთმანეთში იქნება არეული, არ შეფასდება.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

*ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.*

*ვისურვებთ წარმატებას!*

## წაკითხულის გააზრება

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X (თუ პასუხების ფურცელში შეცდომას დაუშვებთ, შეგიძლიათ მთლიანად გააშავოთ ის უჯრედი და მის ნაცვლად სხვა მონიშნოთ).

დაწერეთ ტექსტის მოკლე რეზიუმე.

დავალების მაქსიმალური ქულაა – 13.

ერთადერთი მოწინააღმდეგე, რომელსაც იგი [ბარათაშვილი] ებრძვის და რომლის წინაშეც ბოლოს აუცილებლად ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა მომაკვდავმა, არის ბედისწერა...

ბარათაშვილის მერანის უგზო უკვლოდ ფრენა, მისი გიჟური, უმიზნო ლტოლვა საუკეთესო ლირიკული სახეა შოპენჰაუერის პესიმისტური ფილოსოფიისა. როგორც მსოფლიო ნებისყოფა, რომელიც მუდმივ დაუკმაყოფილებელი წყურვილით იტანჯება, ის მუდმივ თავის საზღვრების გადალახვას სცდილობს, მაგრამ საზღვრებს ვერა ხელავს, იღტვის, მაგრამ თავის სურვილის დაკმაყოფილებას ვერა სძლებს, ეძიებს, მაგრამ ყოველგან მხოლოდ თავისავე თავს პოულობს, სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ თვითონ ისაა ერთადერთი „ნამდვილი სინამდვილე“, ყოველივე კი, რაც იმის გარეშე არსებობს, არის მოვლენა, აჩრდილი... – ისე ბარათაშვილის მხედარი, ეს უსახელო ტრაგიკული მე, დრტვინავს და დელავს, ქარს ჰკვეთავს და წყალს აპობს, უმიზნოდ მიჰქრის, უმიზნოდ იტანჯება და ამაოდ ლამობს გაექცეს თავის ბედისწერას, რომელიც ყოველთვის უკან არის, მიტომ, რომ მისი საზღვრები გარდაუვალი და აბსოლუტურია. ესაა ბრძოლა მესი თავისთავთან, თავის საბედისწერო საზღვრებთან, ტრაგიკული გათიშვა, რომლის შერიგება და მოსპობა ყოველად შეუძლებელია...

გრძნობა, რომელიც ტრაგიზმში სჭარბობს, არის ტანჯვა შეერთებული სიდიადესთან: იბრძვის, იტანჯება და ბოლოს იღუპება არა უბრალო, საშუალო ადამიანი, არამედ არაჩვეულებრივი პიროვნება, დიადი თვით შეცოდებასა და დანაშაულობაში... ტრაგიზმი მსოფლიო ყოფნის ბნელს და საშიშს მხარეს ააშკარავებს, ყოველი ჩვენგანი მის განცდაში ერთგვარ სიამოვნებას გრძნობს. ეს არის ტანჯვის სიტკბობა, ანუ „ტანჯვის სამოთხე“, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს ერთს თავის ლექსში: ერთი ამოცანა ჩვენი ფსიხიური ბუნების. ადამიანი ხშირად... შეუბრალებლად ატიტვლებს თავის ძველ ჭრილობებს, აახლებს განვლილ ტკივილებს, ეშვება უკვე გამთელებული სულის სიღრმეში და ჰქმნის ახალს წყაროს ტანჯვისა და მწუხარებისა. ჩემის აზრით, ამ მოვლენის ახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იმ შეხედულებით ვიხედვით ვიხედვით, რომ ადამიანური ცხოვრების მიზანს პიროვნების გაფართოება შეადგენს და არა შეუშფოთებელი ბედნიერება. და მართლაც, თითქმის არსად არა ჰგრძნობს ადამიანი ისე აშკარად თავის პიროვნების გაფართოებას, როგორც ტანჯვასა და ტრაგიკულ ბედის განცდაში...

აქ, ტრაგიკულს საფრთხესა და ტანჯვაში ჰგრძნობს მე თავის ბატონობის სფეროს გაფართოებას იმ საზღვრებამდე, რომელიც მისაწვდომია საზოგადოდ მომაკვდავთათვის...

ზღუდე, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადააბიჯებს პიროვნება, არის დროების მიერ შექმნილი საზღვრები. ადამიანისთვის საშინელი და მტანჯველია არა მარტო აზრი დროებითი განსაზღვრულობისა, არა მარტო სიკვდილის იდეა, თვით დროების ვითარებაში ამას გარდაც იმალება რამდენიმე მომენტი, რომელიც ხშირად უიმისოდაც სწამლავს ამ ქვეყნიურს ცხოვრებას. ერთს მათგანს კარგა ხანია ყურადღება მიაქცია ფილოსოფიურმა აზროვნებამ: ყოველს სიამოვნებას და ბედნიერებას რეალური ფასი და ღირებულება აქვს, როცა ის აწმყოს ეკუთვნის; განვლილი სიამოვნება და ბედნიერება უკვე აჩრდილია სინამდვილისა. მომავალ დროის დაპირებებსა და იმედებს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როდისმე აწმყო სინამდვილის სისხლსა და ხორცს შეისხამენ. ამგვარად, ადამიანური ცხოვრების სიმდიდრე, მრავალმხრიანობა და ბედნიერება აწმყოს ჩარჩოებშია მოთავსებული. რაღაა თვით ეს აწმყო? ბეწვის ხიდი, წარსულისა და მყობადობის თვალწმედნელს ოკეანეთ შორის გადებულ, მოჩვენება, რომლისაკენ მუდმივ ამაოდ ხელს იწვდის ადამიანი. ხოლო, რადგან არსებითად ბედნიერება მხოლოდ აწმყოშია, აწმყო კი მოჩვენებაა, რომლის დასახელებასაც ვერ ასწრებს ადამიანი, რომ ის უკვე დაუბრუნებლად გამქრალია, თვით ბედნიერებასაც აჩრდილისებრი ელფერი ეძლევა. და სწორედ ჩვენი არსებობის ამ მხარეს მიაქცია ყურადღება ბარათაშვილმა თავის ფილოსოფიურ ლექსში: „ვპოვე ტაძარი, შესაფარი...“

ეს არის ტრაგედია სოფლის დეღვით მაშვრალი მწირისა, რომელსაც ბედნიერებამ ელვასავით ერთის წუთით გაუღიმა, უდიდესი მშვენიერება გაუნათა და დაანახვა. გაუღიმა ერთის წუ-

თით, რომ შემდეგ სამუდამოდ გამქრალიყო და ამით მისი ობლობა და მიუსაფრობა კიდევ უფრო აუტანელი გაეხადა:

მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?  
განქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;  
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,  
მის ნაცვლად სევდა და წყვედიადი დაისადგურებს!

თუმცა ნათესაობა შოპენჰაუერის ნებისყოფის მეტაფიზიკასა და ბარათაშვილის ლირიკულს ტრაგიზმს შორის თვალსაჩინოა, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია წინააღმდეგობაც მათ შორის. გერმანელ პესიმისტისთვის ისტორიულს მსვლელობას არავითარი აზრი და რეალური შინაარსი არა აქვს: არსებითად ის, რასაც კაცობრიობის ისტორიულს განვითარებას უწოდებენ, წინსვლა კი არა, უმიზნო, შმაგი ტრიალია ერთს გარდაუვალს წრეში, უთვალავი განმეორება ერთისა და იმავე ტრაგი-კომედიისა, რომელშიაც მხოლოდ შემთხვევითი, უმნიშვნელო როლები და გარეგნული დეკორაცია იცვლება, ძირითადი მეტაფიზიკური აზრი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უაზრობა კი დასაბამითვე შეურყეველი რჩება.

ხელოვნება, განსაკუთრებით ტრაგედია, შოპენჰაუერის პირით, სწორედ ფარდასა ჰხდის იმ ჭეშმარიტებას, რომ ინდივიდუალური არსებობის ერთადერთს ნამდვილს მიზანს თავისივე თავის ძირში აღმოფხვრა შეადგენს. ტრაგიკული გმირი ხანგრძლივ ბრძოლისა და ტანჯვის შემდეგ სცნობს, რომ ის იღუპება არა ამა თუ იმ შეცოდების ან დანაშაულისთვის, არა ამა თუ იმ პირად მოქმედებისთვის, არამედ თვით მსოფლიო ცოდვის სიმძიმის გამო. ამგვარად ტრაგიკული სული რეზიგნაციისკენ\* უითთებს: ის გვასწავლის თვალის დაუხუჭოთ ამ ქვეყნიურს სილამაზეს, ყური არ ვათხოვოთ მომხიბლავ ხმებს, ხელი არ გავუწოდოთ მის მოწვევებებს, რომელნიც ჩავვითრევენ ცხოვრების ტრიალში, არამედ ესქილოსის, სოფოკლის და შექსპირის გმირებისთვის უარ ვსთქვათ ნებისყოფაზე.

ბარათაშვილის პოეზიიდან ინდივიდუალიზმის შესახებ ამის საწინააღმდეგო შეხედულობა გამოკრთის. ეს მგოსანი პირველი ქართველი მოციქულია ძლიერის ინდივიდუალიზმისა, დიადი ტრაგიკული პიროვნებისა, რომელიც თავის დანიშნულებას ჰხედავს არა არსებობის გაყინვასა და განადგურებაში, არამედ მის გამდიდრებაში და გამრავალფერებაში. თავის მოუსვენარს ძიებაში მან სამყაროში აღმოაჩინა გენიოსური ინდივიდუალობა, დიადი მე, რათა შემდეგ ამავე მეში პირიქით მთელი ქვეყნის მრავალმხრივობა დაენახებინა და მგოსანმა რამოდენიმეთ მართლაც შესძლო დაენახებინა, რომ ძლიერი, შემომქმედი პიროვნება გრძნობათა და გულისთქმათა და უშრეტელი წყაროა, რომელსაც შეუძლიან ცხოველჰყოს ამ ქვეყნიური უსუღდგმულო არსებობა. ციურ მნათობთა და კოსმიურ ძალთა თუ ვერა, მან მომაკვდავთ მაინც გვაგრძნობინა რაოდენი საუნჯე იმალება ინდივიდუალურს ყოფნაში, რა მშვენიერია უდიდესი ადამიანობა: ამით მან ღირსება და ფასი დაუბრუნა პიროვნებას, რომელსაც გარეშე ტლანქი ძალნი განადგურებით ემუქრებიან, მისი არსებობა ძვირფასი გახადა და მის საბედისწერო ბრძოლისთვის გული აგვიცემა.

არის რაღაც გამოუთქმელად ამბავები ამ ძლიერებაში, რომელიც თვით ტრაგიკულს გათიშვაში ცხოვრებას ზურგს არ უბრუნებს, სულმოკლედ ქედს არ იხრის თვით სიკვდილის წინაშეც და შთამომავლობას მედგრად უითთებს იმ გზისაკენ, რომელზედაც მან ამაყად შესდგა ფეხი: „სრული ცხოვრება, ფართე არსებობა, ძლიერი პიროვნება!“

**გერონტი ქიქოძე, ტრაგიკული გრძნობა ნ. ბარათაშვილის ლირიკაში, გაზ. „საქართველო“, 1916, №№ 260-261.**

- (1) **1. რატომაა, ავტორის აზრით, „ბარათაშვილის მერანის უგზო უკვლოდ ფრენა... საუკეთესო ლირიკული სახე შოპენჰაუერის პესიმისტური ფილოსოფიისა“?**
  - ა) იმიტომ, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი ამაოდ ცდილობს გაექცეს საკუთარ ბედისწერას.
  - ბ) იმიტომ, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი „არის მოვლენა, აჩრდილი...“
  - გ) იმიტომ, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი „დრტვინავს და დელავს...“
  - დ) იმიტომ, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი წარმატებით იბრძვის ბედისწერის წინააღმდეგ.
- (1) **2. რა აკავშირებს ერთმანეთთან პირველ და მეორე აბზაცებს?**
  - ა) მეორე აბზაცში გამეორებულია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.
  - ბ) მეორე აბზაცში განზოგადებულია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.
  - გ) მეორე აბზაცში დასაბუთებულია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.
  - დ) მეორე აბზაცში უარყოფილია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.

\* რეზიგნაცია – რეზინიაცია (ფრანგ. **resignation**) – ბედს დამორჩილება უსიტყვოდ, უდრტვინველად.

- (1) **3. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „ყოველივე... რაც იმის გარეშე არსებობს, არის მოვლენა, აჩრდილი...“?
- ამქვეყნიური რეალობა ილუზორულია.
  - ამქვეყნიური რეალობა მარადიულია.
  - ამქვეყნიური რეალობა მიუღებელია.
  - ამქვეყნიური რეალობა ტრაგიკულია.
- (1) **4. ავტორის აზრით, რატომ გრძნობს „ყოველი ჩვენგანი“ ტრაგიზმის განცდაში „ერთგვარ სიამოვნებას“?**
- იმიტომ, რომ „ადამიანი... შეუბრალებლად ატიტვლებს თავის ძველ ჭრილობებს“.
  - იმიტომ, რომ „ადამიანური ცხოვრების მიზანს პიროვნების გაფართოება შეადგენს“.
  - იმიტომ, რომ „ადამიანური ცხოვრების მიზანს... შეუშფოთებელი ბედნიერება“ შეადგენს.
  - იმიტომ, რომ „ტრაგიზმი მსოფლიო ყოფნის ბნელს და საშიშს მხარეს ააშკარავებს“.
- (1) **5. რას მიაქცია ყურადღება, ავტორის აზრით, „ბარათაშვილმა თავის ფილოსოფიურ ლექსში: „ვპოვე ტაძარი, შესაფარი...“?**
- ბედნიერება მხოლოდ აწმყოშია შესაძლებელი.
  - „ბედნიერებას რეალური ფასი და ღირებულება აქვს“.
  - ბედნიერებას „სიკვდილის იდეა... სწამლავს“.
  - ბედნიერება წარსულსა და მყოფადშიცაა შესაძლებელი.
- (1) **6. ავტორის შეხედულებით, რა არის შოპენჰაუერის ფილოსოფიის უმთავრესი აზრი?**
- ბედთან ბრძოლა უაზრობაა.
  - მოჩვენებები „ჩავგითრევენ ცხოვრების ტრიალში“.
  - სინამდვილის გარდაქმნა შესაძლებელია.
  - „ტრაგიკული გმირი... შეცოდების“ გამო იღუპება.
- (1) **7. რა უმთავრესი განსხვავებაა შოპენჰაუერისა და ბარათაშვილის შეხედულებებს შორის?**
- ბარათაშვილისაგან განსხვავებით, შოპენჰაუერი მიიჩნევს, რომ ინდივიდს „შეუძლიან ცხოველპყოს ამ ქვეყნიური უსულდგმულო არსებობა.“
  - ბარათაშვილისაგან განსხვავებით, შოპენჰაუერმა „მომაკვდავთ მაინც გვაგრძნობინა რაოდენი საუნჯე იმალება ინდივიდუალურს ყოფნაში“.
  - შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, ბარათაშვილი არ ჰკარგავს ინდივიდის სიდიადის რწმენას.
  - შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, ბარათაშვილს დაკარგული აქვს ინდივიდის სიდიადის რწმენა.
- (1) **8. რა საკითხი არ არის განხილული მოყვანილ ტექსტში?**
- ბარათაშვილისა და შოპენჰაუერის მსოფლმხედველობათა დაპირისპირება.
  - ევროპული ფილოსოფიისა და ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმომართება.
  - ნათესაობა შოპენჰაუერის მეტაფიზიკასა და ბარათაშვილის პოეზიის ტრაგიზმს შორის.
  - რომანტიზმის დაპირისპირება განმანათლებლობის ფილოსოფიასთან.
- (1) **9. რა არის ბოლო აბზაცის უმთავრესი აზრი?**
- ადამიანის დანიშნულებაა შეუპოვრად გაუსწოროს თვალი სინამდვილეს.
  - ადამიანის დანიშნულებაა ქედი მოიხაროს სიკვდილის წინაშე.
  - ადამიანის დანიშნულებაა „ტრაგიკულს გათიშვაში“ მდგომარეობს.
  - ადამიანის დანიშნულებაა ცხოვრების უარყოფაში მდგომარეობს.

(4) **10. 4-5 წინადადებით დაწერეთ მოცემული ტექსტის რეზიუმე.**

---



---



---



---



---



---

---

---

---

---

**ქართული ენა**

(1) 11. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს სალიტერატურო ენის ნორმების დადგენას.

---

---

(3) 12. რას უწოდებენ სიტყვათა წყვილს: აღქმა – აღთქმა?  
განმარტეთ ორივე სიტყვა.  
რომელი მათგანი უნდა გამოვიყენოთ მოცემულ წინადადებაში: *გამოკვლევა ეხება ბავშვის მიერ სინამდვილის . . . და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.*

---

---

(2) 13. მოსწავლემ დაწერა: *არასამთავრობო ორგანიზაციამ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მოახდინა.*  
აუხსენით მას, რა სტილისტური ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.  
განუმარტეთ, რა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლემ, რომ თავიდან აიცილოს ანალოგიური ხარვეზი.

---

---

(1) 14. მოსწავლემ გააანალიზა კომპოზიტები: *ბუტბუტი, რახრახი, ლაქლაქი*. მისი განმარტებით, ეს კომპოზიტები უდევისოდ იწერება, რადგან ფუძეთა შორის **და** კავშირს ვერ ჩავსვამთ. დააზუსტეთ მოსწავლის პასუხი.

---

---

(2) 15. მოსწავლემ დაწერა: *იმათმა, უფროსების ქებით ფრთაშესხმულებმა, კონკურსისთვის მზადება დაიწყეს.*  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

(2) 16. მოსწავლემ დაწერა: *ღავით აღმა შენებელმა სამშვილდე თურქებისაგან გაანთავისუფლა.*  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

(2) 17. მოსწავლემ დაფაზე დაწერა შემდეგი ზმნები: *დაუწერია, ჩაუცვია, გაუწყვეტია.*  
გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

(1) 18. მოსწავლემ დაწერა: *ხელოვნების მუზეუმში არაერთი ექსპონატია, რომლის რესტავრაციას დიდი თანხა სჭირდება.*  
მიუთითეთ მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.

---

---

(2) 19. მოსწავლემ დაწერა: *განსაკუთრებულია ეკატერინე ვაბაშვილის წვლილი ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორც ქალთა უფლებების დაცვაა.*  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

(5) 20. თქვენი მიზანია, განვლილი მასალიდან *გაახსენოთ* მოსწავლეებს ის საკითხები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების არსის უკეთ გასაზრებლად.  
(2) I. ჩამოთვალეთ ეს საკითხები.  
(3) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში და დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა.

---

---

---

---

---

---

---

---

(5) 21. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.  
(2) I. წაიკითხეთ ნაწყვეტი ჯემალ ქარხაძის პუბლიცისტური წერილიდან და დაასაბუთეთ, რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ დისკუსიის წარმართვაში.  
(3) II. ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემა და თითო არგუმენტი ავტორის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.  
„ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში „თავისუფლება“ გაიგივებულია ეროვნულ თავისუფლებასთან, პიროვნული თავისუფლება განიხილება მისი, როგორც მთელის, ნაწილი. ეს უაღრესად საშიში შეცდომაა, რადგან აქ სიმართლე ყირაზეა დაყენებული. სინამდვილეში სწორედ პიროვნული თავისუფლებაა მთელი, ხოლო ეროვნული თავისუფლება – ნაწილი... ეროვნული თავისუფლება – პიროვნული თავისუფლებისაგან მოწყვეტილი – შეიძლება ერთგვარ კერპ-თავგანისმცემლობას შევადაროთ“.

---

---

---

---

---

---

---

---

(4) 22. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი.  
(1) I. დაასახელეთ საკითხი, რომლის სწავლების მიზნითაც გამოიყენებდით ამ ტექსტს.  
(3) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომლის მეშვეობითაც აჩვენებთ, როგორ გამოიყენებთ ამ ტექსტს. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შერჩეული ქმედების ეფექტიანობა.  
აღექსანდრე სარაჯიშვილი გადმოგვცემს ვიღაც ვაჭრის ნაამბობს: „ერთს მანუფაქტურის მაღაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩკები იკითხა.  
– რა საროჩკები გნებავთო, – ჰკითხა კუპეწმა, – პალატნიანი თუ შოლკოვი?  
– მე ნეუნად გაზრდილი არა ვარ, სიტყვებუდაც საღლასნი ვარო.  
ჩამოიღო პრიკაშიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუწყო პრილაკვაზედ.“

პრისტავმა გადაარჩია ოთხი საროჩკა სხვადასხვა ფერისა: ლილოვი, გაღუბოვი, კარინოვი და სირენევი. ბუმაგაში გაახვევინა და ჩაიდო ვეშჩებით გატენილს საკვოიაჟში...“

ალექსანდრე სარაჯიშვილი განაგრძობს: „ჯავრი მომდიოდა: ნუთუ რუსთაველის ენა ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავურთეთ? ავიღე და ვაჭრის ნაამბობი გადმოვაქართულე... მაგრამ ვაი შენს მტერს, მე რომ მომივიდა...“

რატომ?! რა მოხდა?!

საქმე ისაა, რომ ყველა გადმოქართულებული სიტყვა – ფარჩა, დუქანი, ბოქაული, პერანგი, ვაჭარი, ტილო, აბრეშუმი, აზიზი, ჩითი, ნოქარი, ლაჟვარდი, მიხაკი, ქაღალდი, ბარგი, ხურჯინი... – სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური და ლათინური გამოდგა!

დაე, გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც ჰგონია, ვითომც ენის სიწმინდე თავისებური სიტყვებია და არა თავისებური სინტაქსი“.

---



---



---



---



---

(10) 23. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

(8) I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტარებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტარებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი; თითოეულ მათგანს მიუწერეთ – ორთოგრაფიულია ეს შეცდომა, მორფოლოგიური, სინტაქსური, პუნქტუაციური თუ სტილისტური ხარვეზია.

(2) II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

**შეფასების სქემა**

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით (ჩანს ტექსტის ცოდნა);	2
		ბ) მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა და ნაწილობრივ არგუმენტირებული, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა;	1
		გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია;	2
		ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები;	1
		გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	0
III	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის <b>სამზე მეტი</b> შეცდომა;	2
		ბ) არ არის ამ ტიპის <b>ექვსზე მეტი</b> შეცდომა;	1
		გ) ამ ტიპის შეცდომა <b>ექვსზე მეტია</b> .	0

**ნაწყვეტი მოსწავლის თხზულებიდან, რომელიც უპასუხებს მითითებას:** ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია დანაშაულისა და სასჯელის ზნეობრივი პრობლემის შესახებ „გამზრდელში“.

ბათუს აზრით სინდისი ადამიანის ყველაზე მკაცრი მსაჯულია, მეგობრების ნდობის დაკარგვა და სიცოცხლის სიმარტოვეში გატარება – ძალიან უდიდესი სატანჯველი.

ჰაჯი-უსუბისა და ბათუს განაჩენი ერთ საკითხში ერთხვევა ერთმანეთს. საფარ-ბეგი სიკვდილის ღირსი არ არის. სიკვდილი შვებაა იმგვარ ცხოვრებასთან შედარებით, რაც მან უნდა განელოს.

რა მიზეზით ჩაიდინა საფარ-ბეგმა ეს მძიმე დანაშაული? როგორ უნდა დასაჯონ იგი? ორი შესაძლებლობისგან უფრო სასტიკი აირჩია მწერალმა – საფარი დატოვა საკუთარი სინდისის პირისპირ. უფრო მეტიც, გამზრდელის სიკვდილის მიზეზი გახდა. ავტორის პოზიცია გასაგებია მოღალატე უნდა დაისაჯოს.

მე არ ვამართლებ საფარ-ბეგს, მაგრამ ასეთი სასჯელი განა მეტისმეტი არ არის? არ ვიცი, შეიძლება მთელი საუკუნის შემდეგ ეს დანაშაული არც ისე მძიმედ მოგვეჩვენოს. იმ დროს ზნეობრივი პრინციპები უფრო სხვაგვარად აღიქმებოდა. აქ კარგად ხჩანს, თუ როგორ განიცდის საფარი საკუთარ საქციელს. იგი ინანიებს ჩადენილს. ვფიქრობ, მან უკვე ათას წილად ზღო.

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

### **ქართული ლიტერატურა**

(2) 24. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რატომ გახდა სადავო ქართლის ეპისკოპოსთათვის არსენის კათალიკოსად კურთხევა და რატომ დაუჭირა გრიგოლ ხანძთელმა მხარი არსენის კანდიდატურას?

განუმარტეთ მოსწავლეს ქართლის ეპისკოპოსთა გულისწყრომის მიზეზი და გრიგოლის გადაწყვეტილების მოტივი.

---

---

(2) 25. შაირობის შესახებ მსჯელობისას შოთა რუსთაველი უპირატესობას ანიჭებს ეპიკური პოემის ჟანრს. დაასახელეთ ორი არგუმენტი, რომლებიც მოჰყავს პოეტს თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად.

---

---

---

(3) 26. თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს, რა დატვირთვა აქვს ღამეს („შემოდამება“) ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში: „შემოდამება მთაწმინდაზე“ და „მგზავრის წერილები“.

- ამ მიზნის მისაღწევად მოკლედ ჩამოაყალიბეთ:
- ა) რა დამოკიდებულება ვლინდება შემოდამების მიმართ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზე“;
  - ბ) როგორ არის შეფასებული ღამე ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „მგზავრის წერილები“;



გ) რა განაპირობებს როგორც ერთი, ისე მეორე ავტორის ამგვარ დამოკიდებულებას.

- ა) -----  
-----
- ბ) -----  
-----
- გ) -----  
-----

(1) 27. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: თუ აღუდა ქეთელაური მკლავის მოჭრის ტრადიციის წინა-აღმდეგი იყო, რატომ მოაჭრა მარჯვენა მუცალის ძმას?  
მოკლედ განუმარტეთ მოსწავლეს მისთვის საინტერესო საკითხი.

(2) 28. დაუსახელოთ მოსწავლეებს სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი და მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითი ქართულ სიმბოლისტთა შემოქმედებიდან.

(2) 29. მოსწავლის აზრით, კუზმა კილგა მართალია, როდესაც ჰაკი აძბას მონას უწოდებს. განუმარტეთ მოსწავლეს, რომ მისი შეხედულება მცდარია და კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით დაუსაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

### მხატვრული ტექსტის ანალიზი

(4) 30. წაიკითხეთ რეზო ინანიშვილის მინიატურა „მარადიული პეიზაჟი“.  
სულ იქით ცა არის, შემოდგომის ღურჯადმიყუჩებული ცა. მის წინ – შემრეშილტყიანი გრძლადწასული გორა. გორის წინ – სანთლებივით სწორად ასული ალვები, ალვების წინ – მსუბუქად გაფენილი ყვითელი სიმინდები (ჯაფარა მიფრინავს იმ მსუბუქ სიყვითლეში), სიმინდების წინ – ძეძვის მუქი ღობე, ღობესთან – შავდაგრაგნილი ტოტებშეკაფული მუხა (ნაკაფზე ფუნჯებად ამოჰყრია წვრილი ყლორტები), მუხასთან – გრძელი საცალფეხო ხიდი, ხიდქვეშ მიედინება წმინდა, ოქროსფრად მოციმციმე წყალი, ხიდზე გამოდის წელში მოხრილი თითქმის მუხლებამდე ცხვირმიტანილი შავი დედაბერი, ზურგზე ჰკიდია პირთამდე სავსე ტომარა, ფეხის წვერები ერთმანეთის მოყოლებით მოიწვევენ ჩემკენ.

.....  
ვერ ვცნობ და მაინც:  
დედაჩემს იმ სავსე ტომართ დარდი მოაქვს ჩემთან.

**გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- განმარტეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი;
- ჩამოაყალიბეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი დასახული მიზნის მისაღწევად.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

*(ნაშრომი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახწორდება).*

-----  
-----  
-----

ლიტერატურის სწავლების მეთოდთა

(11) 31. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამოიცნონ და გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები.

შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან ერთ-ერთი:

იაკობ ხუცესის თხზულება „შუშანიკის წამება“;

დავით გურამიშვილის ლექსი „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“;

აკაკი წერეთლის მოთხრობა „ბაში-აჩუკი“;

ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის მჭამელი“;

გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „უსიყვარულოდ“ და „თოვლი“;

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ღამბალო და ყაშა“.

ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:

ა) გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. ეს თავისებურება გულისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატურ თუ იდეურ პრობლემატიკას, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვეტექსტსა თუ ალუზიას, კომპოზიციურ თავისებურებას (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეთოდებს, სტილს, ჟანრულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებს, პოეტურ ოსტატობას.

მსჯელობისას დაიმოწმეთ სათანადო მაგალითები შერჩეული ნაწარმოებიდან.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

ბ) ვინაიდან თქვენ გამოყავით შერჩეული ნაწარმოების ძირითადი თავისებურება, უკვე შეგიძლიათ დაასახელოთ და გააანალიზოთ ის ერთი პრობლემა, რომელსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურებისა და, შესაბამისად, მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

**ანალიზის დროს:**

- მოიხმეთ ტექსტიდან ის მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის თქვენ მიერ გამოყოფილი პრობლემის არსებობას;
- ახსენით, რა მიზეზით (მიზეზებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემა მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას.  
(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

გ) თქვენ უკვე დაასახელებთ და გააანალიზებთ ის პრობლემა, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ამჯერად აღწერეთ ის ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ დაანახვით და გააზრებისათვის მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურება და დაადლეინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემა.

მსჯელობისას ახსენით, როგორ (რა გზით) დაეხმარება ეს სასწავლო ქმედება მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურების გაგებასა და გააზრებაში და როგორ (რა გზით) დაადლეინებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემას.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## ქართული ენა და ლიტერატურა

(მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა)

### წაკითხულის გააზრება

1. ა) -----*1ქ.*    2. გ) -----*1ქ.*    3. ა) -----*1ქ.*    4. დ) -----*1ქ.*    5. ა) -----*1ქ.*  
 6. ა) -----*1ქ.*    7. გ) -----*1ქ.*    8. დ) -----*1ქ.*    9. ა) -----*1ქ.*

### რეზიუმე (დავალება №10)

რეზიუმეს მაქსიმალური ქულაა 4. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა გაარკვიოს, წარმოადგენს თუ არა შესრულებული დავალება რეზიუმეს. თუ პასუხი სტატიის შინაარსის თხრობაა (პერიფრაზია), წერილის კრიტიკული ანალიზია ან მისი შეფასება-კომენტარია, ანდა ენობრივად გაუმართავია, იგი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.  
 თუ დავალების პასუხი რეზიუმეა, იგი უნდა შეფასდეს მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

№	კრიტერიუმები	ქულები
1.	დავალება <i>ამომწურავადაა</i> შესრულებული (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <i>არც ერთი</i> ენობრივი შეცდომა.	4
2.	დავალება <i>ამომწურავადაა</i> შესრულებული (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <i>ერთი-ორი</i> ენობრივი შეცდომა.	3
3.	დავალება <i>ნაწილობრივია</i> შესრულებული (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <i>არც ერთი</i> ენობრივი შეცდომა; ანდა დავალება <i>ამომწურავადაა</i> შესრულებული (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> ენობრივი შეცდომა.	2
4.	დავალება <i>ნაწილობრივია</i> შესრულებული (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და დაშვებულია <i>ერთი-ორი</i> ენობრივი შეცდომა.	1
5.	ნაშრომში არ არის საუბარი სტატიის ორი ან მეტი არსებითი ასპექტის შესახებ, ანდა ენობრივად გაუმართავია.	0

### ქართული ენა

11. სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას ითვალისწინებენ, რამდენად გავრცელებულია ეს ფორმა კლასიკოსთა ნაწერებში, საერთო-სახალხო ენაში; არჩეული ფორმა მართებული უნდა იყოს თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული სისტემის მიხედვით; არჩეული ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ენის განვითარების შინაგან ტენდენციებს... -----*1ქ.*
12. ა) პარონიმებს -----*1ქ.*  
 ბ) აღქმა – სინამდვილის (სამყაროს) ასახვა გრძნობათა ორგანოებით (მხედველობით, სმენით), გააზრება (შემეცნება); აღთქმა – პირობის მიცემა, დაპირება -----*1ქ.*  
 გ) აღქმა -----*1ქ.*
13. ა) შესწავლა მოახდინა კალკია (სხვა ენის კონსტრუქციის სიტყვასიტყვითი თარგმანია, რომელიც ქართულისათვის არაბუნებრივ შესიტყვებას იძლევა / არაბუნებრივია) -----*1ქ.*  
 ბ) იმისათვის, რომ მოსწავლემ თავიდან აიცილოს ანალოგიური ხარვეზი, ამ ტიპის შედგენილი შემასმენლის ნაცვლად უნდა გამოიყენოს მარტივი შემასმენელი – ზმნის პირიანი ფორმა (მაგ., შეისწავლა) -----*1ქ.*
14. ეს კომპოზიტები ერთცნებიანია (ერთმნიშვნელობიანია) და მიღებულია მნიშვნელობას მოკლებული მარცვლების გაორკეცვით, ამიტომ იწერება უდევისოდ -----*1ქ.*
15. ა) *მათ* პირის ნაცვალსახელს დაურთო ბრუნვის ნიშანი (*დასაშვებია: მათ – პირის ნაცვალსახელის ნაცვლად გამოიყენა კუთვნილებითი – იმათმა*) -----*1ქ.*

- ბ) მათ III პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის მოთხრობითი ბრუნვის ფორმაა და -მა ბრუნვის ნიშანი ზედმეტია (დასაშვებია: უნდა იცოდეს პირის ნაცვალსახელთა ბრუნება, ნაცვალსახელთა ფუნქციები) -----1ქ.
16. ა) გაანთავისუფლა არასწორი ფორმაა, უნდა იყოს გაათავისუფლა -----1ქ.  
 ბ) გან- ზმნისწინის გათიშვა დაუშვებელია -----1ქ.
17. ა) ჩაუცვამს -----1ქ.  
 ბ) -აქ თემის ნიშანი ზმნის ფუძეს გადაჰყვება I თურმეობითში -----1ქ.
18. უნდა დაეწერა რთმელთა -----1ქ.
19. ა) არასწორად გამოიყენა წევრ-კავშირი როგორც -----1ქ.  
 ბ) როდესაც მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვაა ისეთი, დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება წევრ-კავშირი როგორც -----1ქ.
20. I ა) თუ ჩამოთვლილია ორი საკითხი მაინც: წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით, ქვეწოობილი წინადადების შედგენილობა (მთავარი, დამოკიდებული), მისათითებელი სიტყვები, წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე და შემასმენელი), წევრ-კავშირები... -----2ქ.  
 ბ) თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი საკითხი. -----1ქ.  
 გ) თუ დასახელებული საკითხი (საკითხები) დავალების პირობას არ შეესაბამება. -----0ქ.
- II ა) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია. -----3ქ.  
 ბ) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება, მაგრამ მისი ეფექტიანობა დასაბუთებული არ არის ან სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია, ანდა სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობის დასაბუთებაა არგუმენტირებული. -----2ქ.  
 გ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებული არ არის ან სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობაა დასაბუთებული. -----1ქ.  
 დ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -----0ქ.
21. I. ა) თუ დასაბუთება არგუმენტირებულია -----2ქ.  
 ბ) თუ დასაბუთება ნაწილობრივ არის არგუმენტირებული -----1ქ.  
 გ) თუ დასაბუთება არ არის არგუმენტირებული ან არგუმენტები არაადამაჯერებელია --0ქ.
- II. ა) თუ ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და არგუმენტები -----3ქ.  
 ბ) თუ ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და ერთ-ერთი არგუმენტი მაინც ან ჩამოყალიბებულია ორივე არგუმენტი -----2ქ.  
 გ) თუ ჩამოყალიბებულია მხოლოდ სადისკუსიო თემა ან ერთ-ერთი არგუმენტი -----1ქ.  
 დ) თუ არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული სადისკუსიო თემა და არგუმენტები ---0ქ.
22. I. ა) თუ საკითხი ადეკვატურად არის დასახელებული -----1ქ.  
 ბ) თუ საკითხი ადეკვატურად არ არის დასახელებული -----0ქ.
- II. ა) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია. -----3ქ.  
 ბ) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება, მაგრამ მისი ეფექტიანობა დასაბუთებული არ არის ან სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია, ანდა სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობის დასაბუთებაა არგუმენტირებული. -----2ქ.  
 გ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებული არ არის ან სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობაა დასაბუთებული. -----1ქ.  
 დ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -----0ქ.
23. I.  
 1. ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება I კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით -----2ქ.  
 ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება I კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო ან არ დაწერა შესაბამისი ქულა -----1ქ.  
 გ) თუ გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები -----0ქ.
2. ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით ---1ქ.  
 ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმების მიხედვით -----0ქ.
3. ა) თუ მასწავლებელს გამორჩა მხოლოდ ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი -----2ქ.

- ბ) თუ მასწავლებელს გამორჩა **ორი** ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ან/და არასწორად ჩათვალა **ერთი** ან **ორი** მართებული ფორმა ან შესიტყვება -----1ქ.
- გ) თუ მასწავლებელს გამორჩა **სამი** ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ან/და არასწორად ჩათვალა **სამი** მართებული ფორმა ან შესიტყვება -----0ქ.
4. ა) თუ სწორია **ხუთი** ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია -----3ქ.
- ბ) თუ სწორია **ოთხი** შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია -----2ქ.
- გ) თუ სწორია **სამი** შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია -----1ქ.
- დ) თუ სწორია მხოლოდ **ორი** შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია -----0ქ.

- II.**
5. ა) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია და მსჯელობა არგუმენტირებულია ---2ქ.
- ბ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არის არგუმენტირებული -----1ქ.
- გ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად არასწორია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული -----0ქ.

*მასწავლებელს არ უნდა გამორჩენოდა ქვემოთ მითითებული შეცდომები და სტილისტური ხარვეზი. ვარდა ამისა, მას შეეძლო სასვენი ნიშნებისა და ზოგიერთი შესიტყვების (სტილისტური ხარვეზის) განსხვავებული ინტერპრეტაცია.*

ბათუს აზრით (პუნქტ.) სინდისი ადამიანის ყველაზე მკაცრი მსაჯულია, მეგობრების ნდობის დაკარგვა და სიცოცხლის სიმარტოვეში გატარება – ძალიან უდიდესი (სტილ.) სატანჯველი.

ჰაჯი-უსუბისა და ბათუს განაჩენი ერთ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს. საფარ-ბეგი სიკვდილის ღირსი არ არის. სიკვდილი შვებაა იმგვარ ცხოვრებასთან შედარებით, რაც (სინტ.) მან უნდა განვლოს.

რა მიზეზით ჩაიდინა საფარ-ბეგმა ეს მძიმე დანაშაული? როგორ უნდა დასაჯონ იგი? ორი შესაძლებლობისგან (სინტ.) უფრო სასტიკი აირჩია მწერალმა – საფარი დატოვა საკუთარი სინდისის პირისპირ. უფრო მეტიც, გამზრდელის სიკვდილის მიზეზი გახადა. ავტორის პოზიცია გასაგებია (პუნქტ.) მოდლატე უნდა დაისაჯოს.

მე არ ვამართლებ საფარ-ბეგს. მაგრამ ასეთი სასჯელი განა მეტისმეტი არ არის? არ ვიცი, შეიძლება მთელი საუკუნის შემდეგ ეს დანაშაული არც ისე მძიმედ მოგვეჩვენოს. იმ დროს ზნეობრივი პრინციპები უფრო სხვაგვარად აღიქმებოდა. აქ კარგად სჩანს (მორფ.), თუ როგორ განიცდის საფარი საკუთარ საქციელს. იგი ინანიებს ჩადენილს. ვფიქრობ, მან უკვე ათას წილად (ორთ.) ზღო.

### ქართული ლიტერატურა

24. ქართლის ეპისკოპოსთათვის არსენის კათალიკოსად კურთხევა სადავო იმიტომ გახდა, რომ არსენის კურთხევა ეპისკოპოსთა უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად მოხდა; მირიანმა თავისი ძე არსენი ეპისკოპოსთა მხოლოდ მცირე ნაწილის თანხმობით დაადგინა კათალიკოსად („მირიან... ძე თვისი დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთათა“). გრიგოლ ხანძთელმა არსენის კანდიდატურას მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ, გრიგოლის აზრით, არსენის კათალიკოსობა ღვთის ნება იყო („არსენი კათალიკოსი ნებითა ღმრთისაითა კათალიკოსი არს...“).

1. არსენის კათალიკოსად კურთხევა ეპისკოპოსთა უმრავლესობის დაუკითხავად მოხდა -----1ქ.
2. გრიგოლის აზრით, არსენის კათალიკოსად კურთხევა ღვთის ნება იყო -----1ქ.

25. შაირობის შესახებ მსჯელობისას შოთა რუსთაველი უპირატესობას ეპიკური პოემის ჟანრს იმიტომ ანიჭებს, რომ, ავტორის აზრით, მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებშია შესაძლებელი სათქმელის სრულფასოვნად გადმოცემა („...რა ვეღარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა / არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა...“). რუსთაველის შეხედულებით, ეპიკურ ნაწარმოებში ყველაზე უკეთ ვლინდება პოეტის შემოქმედებითი შესაძლებლობები („ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა... / მართ აგრეთვე მეღექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა...“; „დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“; „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად...“).

1. მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებშია შესაძლებელი სათქმელის სრულფასოვნად გადმოცემა -----1ქ.
2. ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებში ყველაზე უკეთ ვლინდება პოეტის შემოქმედებითი შესაძლებლობები -----1ქ.

26. ღამე („შემოდამება“) ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზე“ არის პოეტის მწუხარებისა და სევდის თანაზიარი; შემოდამება ავტორს შვებას ჰგვრის („მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი სდევნით მას შვება“); ღამე ნ. ბარათაშვილისათვის მჭმუნვარეობის განქარვების საშუალებაა („როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!“); შემოდამება ავტორს სულიერად ამშვიდებს და აღამაღლებს. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ ღამე შეფასებულია, როგორც ადამიანთა უბედურების წყარო („შენ რომ არ დაარსებულეყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა“); ილია აფასებს ღამეს, როგორც ბოროტებისა და უმეცრების სიმბოლოს („შენ ხარ უამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან...“). ღამისადმი („შემოდამებისადმი“) ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებათა სხვადასხვაობას განაპირობებს მათი მსოფლალქმისა და ესთეტიკური პრინციპების განსხვავებულობა (ისინი სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს მიეკუთვნებიან, კერძოდ, ნ. ბარათაშვილი რომანტიკოსია, ი. ჭავჭავაძე კი – რეალისტი).

ა) ღამე („შემოდამება“) ნ. ბარათაშვილს შვებას ჰგვრის —————1ქ.

ბ) ილია ჭავჭავაძისათვის ღამე არის ადამიანთა უბედურების წყარო (ბოროტების სიმბოლო) —1ქ.

გ) ლიტერატურულ-ესთეტიკურ მსოფლმხედველობათა სხვადასხვაობა —————1ქ.

27. მუცალსა და მის ძმასთან შეტაკებისას ალუდა ჯერ კიდევ არ იყო მკლავის მოჭრის ტრადიციის წინააღმდეგი („ბევრს ქისტს მიაჭრა მარჯვენა, / სცადა ფრანგული ფხიანი“; „რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე / ხელებ ჯღრდესავით ჰკილია...“); ალუდამ სიმამაცე, როგორც ღირებულება, უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე მოკლული მტრისათვის მკლავის მოჭრის ტრადიცია და ამისაკენ მას მუცალის ვაჟკაცობამ უბიძგა („მკლავზედაც გებას მარჯვენა, / შენზედ ალალი არიო! / შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს, / ნუმც ხარობს ქავის კარიო!“); ალუდას გარდაქმნა მუცალთან შერკინების შემდეგ დაიწყო („ვერ გავიმეტე მუცალი / მარჯვენის მოსაჭრელადა, / გული გამიწყრა, არა ჰქნა...“); ქისტის ვაჟკაცობამ იმდენად შეძრა ალუდა, რომ ის დიდი სულიერი ტკივილის ფასად დაუპირისპირდა თემის არაპუნდურ ტრადიციას („წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“, – / ვაი ეგეთას სამართალს, / მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“).

მუცალსა და მის ძმასთან შეტაკებისას ალუდა ჯერ კიდევ არ იყო მკლავის მოჭრის წინააღმდეგი —————1ქ.

28. სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი სამყაროს იდუმალების განცდის გამოხატვაა (სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელია სინამდვილის ინტუიციური ჭვრეტა, ინდივიდუალიზმი, განცდათა მუსიკალური და ფერწერული ხატებით გადმოცემა, ასოციაციური აზროვნება...). მაგალითად: „ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ / უდაბნო ლურჯად ნახავერდები...“, „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის / ქალწულებივით ხიდიდან ფენა...“, „ცაზე ჰკილია მზე-მაღალური, / აპრილი აკრავს მწვანე აფიშებს...“

1. სამყაროს იდუმალების განცდის გამოხატვა —————1ქ.

2. „ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ / უდაბნო ლურჯად ნახავერდები“ —————1ქ.

29. ჰაკი აძბა უჯუშ ემხას ძიძიშვილია, მათს ურთიერთობას ტრადიციით განმტკიცებული სიყვარული და ერთგულება უდევს საფუძვლად („მე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავუთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ. შენმა გამზრდელმა მამანემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეთ“); თავადიშვილ უჯუშ ემხას ისევე უყვარს და ეიმედება გლეხი ჰაკი აძბა, როგორც ჰაკის – უჯუში („[უჯუში] ჰაკის უკიოდა: – ჰაკი! ა, ჰაკი! სად ხარ, ჰაკი! სიკვდილზე უფრო მწარე იყო უიმედობის გრძნობა“); ყველასგან გაწირული ძიძიშვილის გადარჩენას ჰაკი გულწრფელი სიყვარულითა და ერთგულებით ცდილობდა, კლასობრივი იდეოლოგიით მოწამლულ კუზმას კი ამის დაშვება არ შეეძლო („როცა [კუზმა] საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, მისი რევოლუციური შეგნება ისე აღშფოთდა, რომ ჰაკის კლასობრივი სიბრმავე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო...“); ჰაკის თავგანწირვას საფუძვლად უდევს არა მონური ფსიქოლოგია, არამედ ძიძიშვილის გულწრფელი სიყვარული და მისდამი ერთგულება. ჰაკი აძბამ საკუთარ თავზე აიღო ვასკა-პირატის მკვლელობა და ამგვარი თავგანწირული ნაბიჯით სცადა უჯუშის გადარჩენა („თავდამსხმელებს მე ვესროლე იარაღი... უჯუშ ემხას კი იარაღისათვის ხელიც არ უხლია...“; „აძბა იბრალებდა ემხას დანაშაულს, რათა იგი სასჯელისაგან დაეხსნა. არც ეს ეწინააღმდეგებოდა ჰაკის ხასიათს და მის საყოველთაოდ ცნობილ თავგანწირულ ერთგულებას უჯუშისადმი“).

1. ჰაკი აძბას საქციელი განპირობებულია ძიძიშვილისადმი გულწრფელი ერთგულებით —————1ქ.

2. ჰაკიმ საკუთარ თავზე აიღო უჯუშის მიერ ჩადენილი მკვლელობა —————1ქ.

მხატვრული ტექსტის ანალიზი (დავალება №30)

№	კრიტერიუმები	ქულები
1.	<i>ორივე</i> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი <i>მკაფიოდ</i> აა ჩამოყალიბებული და არ არის დაშვებული <i>არც ერთი</i> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	4
2.	<i>ორივე</i> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი <i>მკაფიოდ</i> აა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია <i>ერთი-ორი</i> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი; ანდა <i>ერთ-ერთი</i> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი <i>მკაფიოდ</i> აა ჩამოყალიბებული, ხოლო <i>მეორე</i> მითითება არასრულია ( <i>შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს</i> ) და არ არის დაშვებული <i>არც ერთი</i> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	3
3.	<i>ორივე</i> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი <i>მკაფიოდ</i> აა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი; ანდა <i>ერთ-ერთი</i> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი <i>მკაფიოდ</i> აა ჩამოყალიბებული, ხოლო <i>მეორე</i> მითითება არასრულია ( <i>შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს</i> ) და დაშვებულია <i>ერთი-ორი</i> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	2
4.	<i>ერთი</i> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, <i>მეორე</i> მითითება არ არის შესრულებული (ან არაადეკვატურადაა შესრულებული); ანდა <i>ორივე</i> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი <i>მკაფიოდ</i> აა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია <i>სამზე მეტი</i> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	1
5.	მითითებები <i>არ არის</i> ადეკვატურად გააზრებული; ან პასუხი ენობრივად <i>გაუმართავია</i> ; ანდა <i>50 სიტყვაზე</i> ნაკლები მოცულობისაა.	0

ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია (დავალება №31)

დავალების მაქსიმალური ქულაა **11**. აღნიშნული დავალება სამი ნაწილისაგან შედგება. თუ **რამდენიმე** მითითების (შემადგენელი ნაწილის) პასუხი ენობრივად გაუმართავი იქნება ანდა **50 სიტყვაზე** ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, **ამ კონკრეტული** მითითების (მონაკვეთის) პასუხი არ შეფასდება და დაიწერება **0** ქულა.

დავალების ყოველი ნაწილი ამგვარად უნდა შეფასდეს:





**III მითითების შეფასების სქემა:**

№	კრიტერიუმები	ქულები
1.	<i>აღწერილია</i> ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; <i>დამაჯერებლად</i> დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	3
2.	<i>აღწერილია</i> ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <i>დამაჯერებლად არ არის</i> დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	2
3.	<i>აღწერილია</i> ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <i>არ არის</i> ნაჩვენები, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	1
4.	<i>არ არის</i> აღწერილი ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში.	0

*თუ ნაშრომში დაშვებული არ არის სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, ქულათა ჯამს დაემატება 1 ქულა.*